

ფრთხილი

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია: სოლოლოჯე, ბალის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეზე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакцію газ. „Дрoзбa“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადების: ციფრებით ახლოზე—1 კაპ., ასოებით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციფროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდო გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

კაპიტან-პრეზიდენტი, 14 მარტი. ამბობენ, იმ კამისიას, რომელსაც მინდობილი აქვს პროექტის შედგენა სახელმწიფო გასაფლანის შემცირებაზე, გარდაუწყვეტია სხვათა შორის, რომ გააუქმოს ლუბერნიის პრავლენიის სოვეტნიკების თანამდებობა და აგრეთვე სხვა ყველა თანამდებობა ამ პრავლენიებისა გარდა საქმის-მწარმოებელისა და ვიცე-ლუბერნატორისა.

საქართველო

სამშობლო მის პროგრამაზე

იყო დრო, როდესაც უფ. ჭელიხოვესკი და იმის მსგავსი პირები ამტკიცებდნენ და ამტკიცებდნენ, წარმოიდგინეთ, მეცნიერების ძალით, რომ ქართველს ისეთი თავის მოყვანილობა და ტვინი აქვს, რომ იმას არასოდეს არ შეუძლიან უშალოესი სწავლის მიღება!

შს იყო ის დრო, როდესაც ჩვენს სასწავლებლებში სამშობლო ენის სწავლების მოსაზრებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი; ეს იყო ის დრო, როდესაც დამტკიცდა პროგრამითა, რომ სამშობლო ენის სწავლება უნდა იყოს მხოლოდ გიმნაზიების მეოთხე კლასამდინო, ყველა სხვა გაკვეთილების გარეშე დროს უნდა იყოს სამშობლო ენის გაკვეთილები, ამ ენის მასწავლებელი სამსახურში (შტატში) არ უნდა ითვლებოდეს და ვისაც მსურს, შეუძლიან ისწავლონ სამშობლო ენა და ვისაც არა—არა, და სხვ. და სხვ.

ამ გვარს დროში და ამგვარის მიმართულების პირებისაგან შედგენილი პროგრამა და რჩენილია დღემდინ ჩვენს საშუალო სასწავლებლებში.

მადლობა ღმერთს, ახლა დროება შეიცვალა. შეველამ იგრძინო ახლა უფარვისობა ამ სისტემისა; ყველამ ცხადთ დაინახა თვით გამოცდილებითვე, რომ იმ ყმაწვილს, რომელსაც უცხო ენაზე დაუწყეს სწავლება და თუთიყუშისავეთ გაუგებარი სიტყვების გამეორება, არ შეუძლიან რიგიანათ არც ამ უცხო ენის

შესწავლა და არც საზოგადოთ არავითაცი საგნის შეთვისება; ყველამ გაიგო ახლა, რომ, თუ სულ არა, პირველ-დაწყებითი სწავლა მინც ბავშვს თავის სამშობლო, გასაგებს, დედის ძუძუსთან შეზრდილს ენაზედ უნდა გადასცეს მასწავლებელმა.

ღიან, ყველამ გაიგო ახლა ეს უბრალო, დიდი ხანია დამტკიცებული ჭეშმარიტება და არათუ გაიგო, სისრულეშიც მოჰყავთ, ამ კანონისა—და-გვარადაც დაიწყეს სწავლება.

და ყველაზე უკეთ ეს ჭეშმარიტება, როგორც ეტყობა, ესმის ჩვენი სამასწავლებლო მასწავლებლის ახლოს მზრუნველს (პრავნიტელს) უფ. იანოესკის.

აქაურ სასწავლებლების დახედვის დროს იმან მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება სამშობლო ენის შესწავლას; ბეჭედი დაჰკრა და ყოველად-გონიერ გადაწყვეტილებად მიიღო იმან ის გადაწყვეტილება, რომელზედაც დადგა შარშან თფილისის სახალხო შკოლების მასწავლებელთა კრება, ე. ი. რომ პირველ-დაწყებითი სწავლა ყველა სასოფლო სასწავლებლებში ქართულს ენაზედ უნდა იყოს.

შეთათხილამ გეაცნობებენ ამ ქამდ, რომ უფ. იანოესკის დაუვლია ყველა იქაური სასწავლებლები: ვაჟებისა და ქალების გიმნაზია, ქალაქის შკოლა, უფ. ა. შიჰინაძის ორ-კლასიანი პანსიონი და სხვ., და ყველგან ურჩევია მასწავლებლებისათვის, რომ სამშობლო ენის სწავლას ჯეროვანი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული; და არათუ ქართველებისათვის ურჩევია ქართულის სწავლა, არამედ თვით რუსის ყმაწვილებისათვისაც, რომელნიც ჩვენს ქვეყანაში დაბადებულან და აქ იზრდებიან.

რალა თქმა უნდა, რომ ეს სანუგეშო ნიშნებია. მაგრამ ცარიელი თქმითა და რჩევით ამისთანა საქმეში ბევრი არა გარიგდება—რა. ჩვენის აზრით, სამშობლო ენის შესწავლა და ამასთანავე რუსულიც და სხვა ყველა ენებისა და საგნებისა მხოლოდ მაშინ შეიძლება რიგიანად, როდესაც:

ა). ქართული ენა ვალდებულებით საგნად შეიქნება ჩვენს გიმნაზიებში და საზოგადოთ ყველა სასწავლებლებში, ე. ი. როდესაც ყოველი ქართველი შაგირდი და მთავრობა მოვალე იქნება, რომ ისეთივე ყურადღება მიაქციოს ამ ენის შესწავლას, როგორიც აქვს ახლა, მაგალითად, რუსულ ენას, მათემატიკას, სამღეთო წერილს და სხვ. საგნებს;

ბ). როდესაც ქართული ენის მასწავ

ლებელს შტატის მასწავლებელად ჩარიცხენ სამსახურში, ე. ი. მიანიჭებენ ყველა იმ უფლებასა და უპირატესობას, რაც სხვა-საგნების მასწავლებელთა აქვთ; ბ). როდესაც ქართული ენის სწავლება ჩვენს გიმნაზიებში მარტო პროგინაზიულ კლასებით კი არ გათავდება, არამედ ყველა კლასებში იქნება დაწყებული, და

ღ). როდესაც ქართულის ენის პროგრამაში, თვითონ ენისა და ლიტერატურის გარდა, ჩარიცხული იქნება აგრეთვე შემოკლებით მინც უშალოესს კლასებში საქართველოის ისტორიის შესწავლა.

შს ოთხი პირობა უმთავრესს და აუცილებელ პირობად მიგვაჩნია ქართულის ენის რიგიანად შესწავლისათვის. თუ ეს პირობები შესრულებული იქნება, მაშინ, უეჭველია, ქართულის ენის ხეირიანი მასწავლებლის პოვნაც ადვილად შეიძლება. ახლა კი, როდესაც ეს ენა ასე მიგდებული და აგდებულია, როდესაც მთავრობა ყურადღებას არ აქცევს იმას, როდესაც ეს მასწავლებელი სამსახურში არ ითვლება, როდესაც იმას ხეირიანი ჯამაგირი არ ეძლევა, ახლა, ვამბობთ, ძნელია რიგიანი კაცი და ნასწავლი ვინმე დადგეს ამ ენის მასწავლებელად.

შესაძლებელია, რომ სამასწავლებლო მთავრობამ არ ანუ ვერ იკისროს ახალი ხარჯი ქართული ენის მასწავლებლისათვის. ამ შემთხვევაში, ჩვენის აზრით, თვითონ ჩვენი საზოგადოება არის მოვალე, რომ დაფაცურდეს და მოახერხოს რამე; ხეირიანი მასწავლებლისათვის 1000-1200 მანეთი საკმაოა, და ამ ფულს, უეჭველად, ადვილად მოახერხებს საზოგადოება, თუნდა იმ სადგილ-მამულო ბანკების საშუალობით, რომელსაც, ამგვარ საზოგადო საჭიროებისათვის, მუდამ წელიწადს რამდენიმე ათი ათასი მანეთი რჩება და რომელთაც, თითოეულს, ამ საქმისათვის წელიწადში ვსთქვათ 1,200 მანეთის გადადება, მგონია, არ გაუჭირდება.

მართის სიტყვით, საზოგადოება თუ მოინდომებს, ამ მხრით არავითარი დაბრკოლება არ დაუდგება წინ, და რომ ეს საქმე მოსანდომებელია, ამაში ღვთით, ახლა ეჭვი აღარავისა აღარა აქვს...

ამ საგანს ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით.

ს. მ.

დღისი

* * ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში ოფილისის ოლქის სასამართლოს უწყება, რომელიც გვაცნობებს, რომ „დროების“ რედაქტორი ამ წლის 4 მაისისათვის არის დაბარებული ხსენებულს სასამართლოში ბეჭდვის კანონების დარღვევისაგამო.

ეს კანონების დარღვევა მდგომარეობს იმაში, რომ შარშანდელი „დროების“ ერთს ნომერთაგანში დაბეჭდილი იყო რამდენიმე სტრიქონი, რომელიც ცენზორს წაეშალა. კანონის (1029 მუხლის) ძალით ამ გვარის დანაშაულისათვის პირველ შემთხვევაში რედაქტორს გადახდება ჯარიმა ერთი მანეთიდან ხუთ თუმანამდე, მეორეჯერ ხუთიდან ათ თუმანამდე და მესამეჯერ და შემდეგ ათიდან ოც თუმანამდე...

* * დღეს, შაბათს, 17 მარტს ოფილისის პრეზიუმში იქნება ორი საზოგადო ლექცია უფ. დოქტორის უმისასი და უფ. პალმისა. პირველი ამათგანი წაიკითხავს ლექციას „შლერის ავთოგრაფობაზე“ და მეორე კი „რუსეთის სცენიკურს ხელოვნებაზე“.

* * „ოფილისის მოამბის“ რედაქცია ხელის-მოწერით აგროვებს ფულს იმ პირთ სასარგებლოდ, რომელთაც სახლ-კარი დაეწვათ და ცხოვრების სახსარი მოეპოვოთ რიყეზე რომ ცეცხლი გაჩნდა იმის გამო. მისაც ამ გაჭირებულების შეწვევა ჰსურს, შეუძლიან მიმართოს „ოფილისის მოამბის“ რედაქციაში დილის 9 საათიდან ვიდრე ნაშუადღევს 3 საათამდე.

* * მუთისიდან გვატყობინებენ, რომ ამ მოკლე ხანში იქაური ქართული სცენის მოყვარენი, გაჭირებულ ძაბულებების სასარგებლოდ, აპირებენ ანტონოვის „ტივით მოგზაურობისა“ და აკაკის ვოდევილის „ბუტიობის“ წარმოდგენას.

ზუგდიდიდანაც გვწერენ, რომ ამავე კეთილის მიზნისთვის აქაც ხელის-მოწერით გროვდება ფული.

* * ჩვენ გვითხრეს, რომ აქაური სომხები სთარგმნიან უფ. დ. ზ. ბაქრაძის საქართველო-სომხეთის ეკლესიების აღწერას, რომელიც 1875 წელს გამოცა ცალკე წიგნათ ძავეასიის პრეზოლოგიურმა კომისიამ.

„დროების“ კორექსორდენცია

დ. ონი 9 მარტს. „დროების“ მე-47 №-ში არის დაბეჭდილი უფ. ძამაგელის კორექსორდენცია რაჭიდან, რომელიც...

მელშიაც: ორი დიდი ყურადღების შემთხვევა აღწერილი: ერთი, ორი სოფლის იწის და ახალ-სოფლის ჩხუბი და მეორე მღ. ზობეჯიშვილის ლოთობა.

ამ უკანასკნელს შემთხვევაზე მე არაფრის თქმა არ შემიძლიან გარდა იმისა, რომ ეს ფრიალ სამწუხარო და საზიზღარი ფაქტი სწოთედ ნამდვილია; მაგრამ შესახებ ორი სოფლის ჩხუბისა, რომლის მიზეზი ვითომც მღვდელი მისურაძე უნდა ყოფილიყვის, უ. ძამაგელი ცოტათ ჰსცდება. ამ შეცდომის გასასწორებლად და აგრეთვე მისთვის რომ ეს შემთხვევა არ დარჩეს უყურადღებოთ, მსურს ორიოდ სიტყვა ვსთქვა.

ძაი ხანი არის მას აქეთ, რაც ამ ორი სოფლის მცხოვრებლებს შორის უკმაყოფილებაა მღვდლის თაობაზე. შეიძლება წლის წინეთ იწის და ახალსოფელს ცალ-ცალკე ჰყავდათ მღვდლები, მაგრამ ამ უკანასკნელს დროს ორივე სოფელი იწის-ეკლესიას მიაწერეს და ამასთანავე, როგორც გამოგონია, ყოვლად-სამღვდელოსაგან მღვდელს ნაბრძანები უნდა ჰქონდეს, რომ მან ხანდახან ახალ-სოფლის ეკლესიაშიაც უნდა სწიროს, რადგანაც ამ სოფლის ზოგიერთი მცხოვრებლები ერთობ შორს არიან იწის ეკლესიაზე. მახსოვს, რომ განსვენებული მღ. მესხი, რომელიც მ. მაისურაძეზე წინეთ იყო აქ მღვდლად, საუფლო დღესასწაულებში თავისუფალს მღვდელს იშოვნინდა ხოლმე და, როდესაც ის იწის იყო მწირავი, ახალსოფელში ნაქირავებს მღვდელს აწირვინებდა. ამისთვის ძირიელ კმაყოფილი იყო ხალხი და პატრისაც სცემდა მ. მესხს, რომელიც ზოგიერთი თავის მრევლთაგანისთვის თავის საკუთარს შამოსავალს სხვა მღვდელს უნაწილებდა. ახლა ეს ორი სოფელი მ. მაისურაძეს აქვს მინდობილი და ამის ხელში კი დიდი უკმაყოფილება გაჩნდა მათში.

უფ. ძამაგელი ამბობს: 17 თებერვალს მ. მაისურაძემ ახარა იწის შტატის ეკლესიაზე 150 სული და შემდეგ მოსთხოვა მრევლს, რომ საყდრის გალავანში ეკამათ სადილი, რომელზედაც ხალხმა უარი განაცხადა. ამით გაჯავრებული მღვდელი მიმართავს ხალხს შემდგომის სიტყვებით: „სეცხლად იქცეს ყველას სხეულში დღეს მიღებული წმ. საიდუმლო“. ეს სიტყვები აღძრავს მრევლში შფოთს და ხალხი უკმაყოფილო ბრუნდება სახლში; მეორე დღეს, კვირას, მღვდელი გაიტანს შტატის ეკლესიიდან სამკაულს იმ განზრახვით, რომ სწიროს ახალ-სოფლის ეკლესიაში. ამ გვართ მოქმედება მღვდლისა გააბრაზებს იწელებს და გაუგზავნიან მოციქულს, რომ მობრძანდეს იგი შტატის ეკლესიაზე. ეს გარემტება გამოიწვევს შფოთს მცხოვრებთა შორის იწისა და ახალ-სოფლისა, რომელნიც შეიტაკებინან და ჩხუბში ხსტიკად დაიღახებინან უმეტეს ორმოცის კაცისა.

ძაი ნამდვილი ვარემოება; რომელიც დაწერილებით მაქვს შეტყობილი 18 თებერვალს, როდესაც მე თვითონ ვიყავ ორივე სოფლებში.

17 თებერვალს ხსენებული სოფლების ხალხი იკრიბებოდნენ იწის ეკლესიაში წმ. საიდუმლოს მიღებაზე, მაგრამ ამ ეკლესიის სიპატარავის გამო, როდესაც ქალმა და კაცმა ერთად შაიყარეს თავი ერთობ შევიწროვდნენ. ამ დროს გამოდის ერთი იწელი კაცი და ეუბნება ხალხს: „ხომ ხედავთ რა ვიწროობა არის, ახალ-სოფლელები გარეთ და იწელები ეკლესიაში დადექით!“ დახედეთ ამ კაცის უგზურებას: რადგანაც ეს ეკლესია იწაში არის აშენებული, ამ სოფლის საკუთრებათ სოფლის და მეორე სოფელს უშლის შიგნით დგომას, მაგრამ რა გეწყობა ამაზე უარესს უგუზურებას გაიგონებს ხოლმე ხალხში კაცი.. ახალ-სოფლელებს ამ სიტყვებზე არაფერი ჰასუხი არ მიუციათ და როგორც იყო გათავდა წმ. საიდუმლოს მიღება.

რაჭაში ჩვეულება არის: ახალმა ნახიარებმა ხალხმა, თუ კარგი დარია, ეკლესიის გალავანში, ან თუ ცუდი დარია, რომელიმე გლენის სახლში საზოგადო სადილი უნდა სჭამოს და ტკბილს მუსაიფში დრო გაატაროს.

მღვდელი წინა დადებდა აძლევს ხალხს, ჩვეულებისამებრ ეკლესიის ეზოში სჭამონ ერთად სადილი, მაგრამ ამაზე იწელები უარს აცხადებენ. უფ. ძამაგელი ამბობს, ვითომც ამაზე მღვდელს გული მოსვლოდეს და თავის მრევლი დაეწყევლოს; მაგრამ მე ვერ წარმოვიდგენ, რომ, თუ ცოტაოდენი ჰქუა აქვს კაცი, მღვდელიც არ იყოს, 150 სულს საზოგადოთ მიმართოს შემდგომი სიტყვებით: „სეცხლად ექცეს ყველას სხეულში დღეს მიღებული წმ. საიდუმლო“, — ეს არ არის დასიჯერებელი. მე როგორც ვაიგე, ასე უნდა ყოფილიყვის: როდესაც მღვდელს ზოგიერთმა მკვანე სიტყვები უთხრეს, მაშინ მან სთქვა. „უღირსთათვის ზიარება ცეცხლი არის დამწველიო!“

მაგრამ როგორც უნდა იყოს, მე მღვდლის გამართლება არ მაქვს სახეში, მე მხოლოდ მსურს ამ ორს სოფელში როგორმე მოისპოს უთანხმოება და მკითხველმა გაიგოს ნამდვილი მიზეზი ჩხუბის, რომელიც მოხდა იმავე დღეს, როდესაც ხალხი ეზიარა, 17 რიცხვს და არა მეორე დღეს, კვირას, როგორც უ. ძამაგელი სწერს.

როდესაც იწელებმა მღვდლის წინადადებაზე უარი განაცხადეს, ახალ-სოფლის ხალხმა სთხოვა მღვდელს, რომ ის ჰსწვევოდათ მათ სადილზე, რომელიც მზათ იყო მათი ეკლესიის გალავანში. აქ საჭირო არის ვსთქვა, რომ ორივე სოფლების საყდრები ძალიან ახლოს არიან ერთმანეთზე, ასე რომ ერთი ადგილიდან მეორეზე ცოტა ხმა-მალა მუსაიფს გაიგონებს კაცი. მღვდელი თანახმა გახდა და ეწვია სადილზე ახალ-სოფლელებს, როდესაც სადილი გათავეს საღამო ჟამზე მღვდელმა ისურვა ლოცვა ახალ-სოფლის ეკლესიაში და ამისთვის თავის სტაროსტას უთხრა, რომ იწის ეკლესიიდან მარხვანი გამოიტანოს. სტაროსტა წაიდა წიგნის მოსა-

ტანად; გააღო საყდრის კარები და გამოიტანა მარხვანი. ამ დროს იწვლები ერთად თავშეყრილი მღვდელს ელოდებოდნენ, მაგრამ, როდესაც სტაროსტამ აცნობათ, რომ მღვდელი ახალ-სოფლის ეკკლესიაში ილოცავს დღესო, ზოგიერთნი მათგანი ეცნენ ამ კაცს ერთი ორი-ორდე მიარტყეს და წიგნი უკანვე წაართვეს. ნაცემი სტაროსტა ცარიელი წამოვიდა მღვდელთან; ცოტაოდენი გზა რომ გამოიარა, იწვლებს მოაგონდათ საყდრის კარებზე გასაღები, რომელიც სტაროსტას ჰქონდა და ერთს გლვებს, ბედ—შვილს, უფროსს წადი, დაეწე და ის გასაღები წაართვი, გავადებთ საყდარს და პირჯვარს მაინც გამოვისახეთ ხატების წინო. ბედ—შვილი გამოუდგა სტაროსტას უკან, მაგრამ ვეღარ დაეწია; იმ დროს შვიდა ახალ-სოფლის ეკკლესიის კარებთან, როდესაც მღვდელი ლოცვათ იდგა და შეშინებული სტაროსტაც შიგნი საყდარში იყო. როდესაც დაღალული და დაქანცული, ნარბენი ბედ—შვილი ოფელს იწმინდავს შუბლიდგან ჩოხის სახელით, ერთი ახალ-სოფლელი მობ—იგი ჰკითხავს: ბაჭო, რისთვის მობრბოდი, რომ აგრე დაღალულხარ; თუ ლოცვაზე მოდი, პირს-ჯვარი მაინც გამოისახეო. ამაზე იწვლი მკვახე პასუხს აძლევს, ახალ-სოფლელი უარესს და შეიქნება ამ ორს კაცს შორის ჩხუბი; ამ ჩხუბს მოჰყვება ხმაურობა, ქალების კივილი; ეს ხმა გადის იწვლებთან, რომელნიც იტყვიან სწორეთ სტაროსტას და ბედ—შვილს მოუვიდათ ჩხუბიო ან ახალ-სოფლელებმა სცემეს ჩვენს გაგზავნილს კაცსო და კეტებით და ხანჯლებით დამხადებულნი გამოსწვევენ ახალ-სოფლისკენ; მოგარდებიან ახალ-სოფლის ეკკლესიასთან და შეიქნება გახურებული კეტების ცემა და ხანჯლების ტრიალი ორივე სოფლელების შორის.

ბალახული ორმოცი არ ყოფილა, როგორც ძრამაგელი სწერს, და თერთმეტამდის კი იქნებოდა. ახლა ერთის მეტი ყველანი კარგათ არიან. მართი კი წევს.

ამ საქმეზე გამოძიება არის ახლა დანიშნული, მაგრამ მოძირგებელს მსაჯულს გაუხდება გასარჩევით, რადგანაც მძიმე გალახული არაიან არის და არც თვითონ სოფლელები სჩივიან.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ორს სოფელს შორის დიდხანს არ მოისპობა ეს უთანხმოება, თუ არაფერი საშუალება იხმარეს:—ან საკუთარი მღვდლები უნდა ეყოლოსთ, ან ახალი სრული ეკკლესია უნდა ააშენონ ორივე სოფელმა შუა ადგილზე; მაგრამ ახალი ეკკლესიის აშენება ხალხისთვის, უმისოთაც ერთობ შევიწროებულულებათვის სიღარიბით, ძრიველ სამძიმო იქნება. მე ვგონებ პირველი საშუალება არჩიოს ხალხმა.

ჩხრეკია-რაჭველი

სამართალი

ურიშების საქმე

მუთაისის ოლქის სასამართლოში
სხდომა 12 მარტს. დილით.

ალექსანდროვის სიტყვა. უფ. მოსამართლენო! ბავლილი წლის 4 აპრილს სოფელს პერევისაში დაიკარგა ექვსი წლის ქალი სარა მოდებაძისა. მეორე დღეს „პოლიას-დამ“ (სისხლის მცენება), რომელიც ასე სახსოვარია ებრაელებისათვის საშუალ-საუკუნოების წყალებითა, ტანჯვითა და ცეცხლითა, მრისხანებით გაისმა საჩხერის მხრისაკენ და დაფთხო ამ დაბის ებრაელნი. რასაკვირველია, ამ განათლებულს დროში არაიან არ უნდა ეშინოდეს წყალების და ტანჯვისა, მაგრამ ახლანდელის დროს უბედურება—ხალხის თვით-გასამართლება, რომელსაც გამოიწვევს შურისძიება, სხვა საუწმუნოების ხალხისა, გამოძიება სასამართლოში თრევა და გამოტყუებება,—ყველა ეს საშიშია, ყველა ამასთან ანგარიში უნდა დაიჭიროს კაცმა.

„თუ ხალხის თვით-გასამართლების შიში გადამეტებული შეიქნა ამ შემთხვევაში, თუ ყაზახი-რუსები ტყუილ-უბრალოთ მიიყვანეს საჩხერეში ებრაელების დასაცველად, მაინც სხვა გვარი შიში, შიში გამოძიებისა, საპრობილისა არ შეიქნა გადამეტებული და აუსრულებელი. ცხრა ადამიანი მოაშორეს თავის ცოლ-შვილს, თავის ოჯახს, თავის საქვს, დაამწყვდიეს საპრობილეში და ხუთი ამთგანი ათის თვით ჩააგდეს საპრობილეში.

დიდი გაჭირება გამოიარეს ბრალდებულთა. ამ გაჭირების დროს იმათ დაებადათ გულში ეჭვი გამოიმეძიებელზედაც, პროკურორზედაც და ყველა მოაფრობის წარმომადგენელ პირზედაც. იმათ ეკონათ, რომ არაიან არ ჰსურს დაინახოს ჭეშმარიტება, დაინახოს იმათი უმანკობა. ეჭვი უსაფუძვლო იყო; მაგრამ ისინი ამ ეჭვის დროსაც დარწმუნებული იყვნენ, რომ იმათი სამართლიანობა აღრე თუ გვიან დამტკიცდება. საპრობილეში ყოფნის დროს ისინი, უფ. მოსამართლენო, თქვენს სამართალს ელოდნენ.

ბოლოს ეს სამართლის დღეც დადგა. ექვსი დღის განმავლობაში იყო ამ სასამართლოში საქმის გამოძიება და დღევანდელი მეშვიდე დღე არ არის კიდევ დღე მესვენებისა. მაგრამ ამ დღეებს მე საუკეთესო დღეებად ვთვლი ჩემს სიცოხლეში. მე ვხედავდი დაუღალავ შრომას; მე ვხედავდი, რომ თქვენ გრძობდით თქვენს პასუხის-გებას წინაშე თქვენის სინიდისა...

„ღვილი არ იყო თქვენი მოვალეობა, უფ. მოსამართლენო. თქვენ წარმოგიდგათ თვალწინ ცრუ-მოწმები, მატყუარები, გაუხათლებელი ხალხი, რომელთაც დრო და სიერცე ვერ გაერჩიათ, რომელთაც არ იცოდათ რა არის საათი, მინუტი, საყენი, წელიწადი და სხე.

„მაგრამ თქვენ დასძლიეთ ყველა სინდისი თქვენის შრომიანობისა. თქვენ ცხადია, შეშმარიტება გველ-სიტყვებს სჩინო და აშკარა შეიქნა. თქვენი გადაწყვეტილება საბაჟსო და ბევრი საფიქრელი არ იქნება.

„მართის შეხედვით, მე მეტი არა უნდა მეთქვა-რა. მე შემემდლო ორი სიტყვით გამეთავებინა ჩემი მოვალეობა, შემემდლო მეთქვა: „შუალნო მოსამართლენო! ბარემობა ამ საქმისა ცხადია. თქვენი სინიდისათვის მომინდვია ჩემი კლიენტების ბედი!“

„მაგრამ ეს პროცესის ოთხ კედელ შუა არ უნდა გათავდეს. მთელი რუსეთის ყურადღება არის ახლა ამ პროცესსზედ მოქცეული. რამდენიმე დღის შემდეგ მთელი რუსეთი შეიტყობს და წაიკითხავს ყველაფერს, რაც ამ სასამართლოს ზალაში მოხდა. თქვენთვის კი არა, უფ. მოსამართლენო, იმ პირებისათვის ვლპარაკობ შე დღეს, რომელნიც ამ პროცესსზე არ დასწრიბიან, რომელთაც არ უნახათ თქვენი შრომა, რომელნიც მზათ არიან ბოროტის ერთ შესწარონ თქვენი გადაწყვეტილება.

„მე გაკვირვებული ვარ იმ შრომით და ენერგიით, რომელიც მიუღიათ პირველი გამოძიების დროს. სამჯერ ამოიღეს მიცვალებულის ბავშის გვამი მიწიდან, ორჯერ გაჭრეს ის, დაწერილებით იყო გასინჯული და გაზომილი ის ადგილები, საცა ბავში ნახეს, აქაურ ექიმებს არ დასჯერდნენ: უმაღლესს საექიმო უწყებას მოსთხოვეს აზრი, ადგილების პლანი აიღეს,—მარტო ამ პლანისათვის ეუძღვნა გულითადად მადლობას გამომეძიებელს: ამ პლანზე დიდის ასოებით დაწერილია გამართლება ჩემ დასაცველ ბრალდებულებებისა. თხებიც კი გაზომეს; უმანკო ბავშვებიც კი ჩასვეს ხურჯინში ისეთნაირად, როგორც დედის მუცელში არიან! ისლა აკლდა, საუბედუროთ, რომ ასე ხურჯინში ჩასმული ბავში არ გაატარეს ცხენით პერევისიდან საჩხერემდინ,—მაშინ ექიმის ბუღბინსკის სიტყვა უფრო აღრე დამტკიცდებოდა და მთელი ეს საქმეც მოისპობოდა...

„ახლა მე მივადგები გამამტყუებელ აქტს; მე ვხედავ ჩინებულ შენობას, გარეგანის შეხედულებით ლამაზს; თითოეული ნაწილი იმისი გამოზომილია და მოფიქრებული. მე ვხედავ შენობას, რომელიც აკვირვებს კაცს თავის ხელოვნებით; იმის გოტიკური წვეთები, ვითარცა მილანის სობორისა, მაღლა, ზეცამდინ ამართულან. შფრო მძიმე გამამტყუებელი ფაქტები, ვითარცა ჩუქურთმის ხელობა, ამ შენობის გამოჭირლებში დაბუდებულან. შესავალში ვხედავ მოდებაძის ოჯახს, რომლის თავში დგას მამა ოჯახისა; მე ვხედავ იოსებ მოდებაძეს ქისით ხელში და ვერ გამოვიგია—რას აკეთებს ქისით ეს, ერთი თორმეტ მოციქულთაგანის მსგავსად, აქ გაჩერებული კაცი. მეუბნებიან, რომ ეს არის სამოქალაქო მომჩივანი, ზარალის მეძიებელი;—მე ყველაფერი მესმის ახლა და გვერდით აუცილი. შემდეგ ვხედავ ახლადიხს ოჯახს, რომელიც გზათ არის შე-



ზობლობა და სამსახური დაუმტკიცოს მობრძანის ოჯახს; ვხედავ ღიმილი ბეჟანის ძეს წერეთელს და სხვ. შემდეგ თვალს წარმოუდგება ბესო ბაჩყალიძის სახე, რომელიც ურის ხურჯინის წინ დაფიქრებულა, ვითარცა ბალილეი, როდესაც დედა-მიწის ბრუნვებზე ფიქრობდა. სამრეკლოს გუმბათზე შემორტყმულე არიან საჩხერის ქალბატონები მაქსიმე ნადირაძით-თურთ, რომელიც მზათ არის ბუკი დაუკრას.

შე ვათვლიერებ ამ შენობის საძირკველს და ვატყობ, რომ ის მაგრად ვერა დგას. ვხედავ, რომ ბევრი ძალა არ არის საჭირო იმის დასანგრევად.

(ზაგრძელება)

ბანცხალეზანი

ბამოვიდა და ისპიღება „ბუტიანობა“

ვლდემლო

აკაკი წამრთლისა

ისპიღება: ჩარკვიანის, მართანოვის და ბრიქუროვის წიგნის მალაზიებში, აგრეთვე უფ. შავერდოვის ბაზეთის სააგენტოში—ბუღალვარზე.

ჭუთაისში—უფ. ძ. მესხის წიგნის მალაზიაში.

ფასი—ერთი აბაზი.

უფ. ბ. ჩარკვიანის წიგნის მალაზიაში და აგრეთვე ჭუთაისში—უფ. ძ. მესხის მალაზიაში ისპიღება

„პაი ჭკუისაგან“

ბომეღია ოთხ მოქმედებად ბრიბოვდოვის ა. ნათარგმნი ბრ. ა. წინიმძღვაროვის-მიერ.

ფასი—მეხსი უაური

როდესაც თფილისის პოლიციის მოხელენი მოითხოვენ ხოლმე მოქალაქეებისაგან ქუჩების და ტროტუარების გაწმენდას და გაკეთებას, ბევრი ამ მოქალაქეებთაგანი არ ასრულებენ ამ მოთხოვნისა, ამისთვის რომ ვითომ ქუჩებისა და ტროტუარების გაწმენდა და გაკეთება იმათი ვალი არ არის ქალაქის გამგეობისა, რადგანაც გამგეობა ახდენებს სახლის პატრონებს ამ საქაროებისთვის ფულებს. ეს განცხადება მოქალაქეთა ყურადღებაში მიიღო ზოგიერთა მომრიგებელ მოსამართლეებმა, რომელთაც არაფერი არ გადაახდევინეს იმ პირებს, რომელთ წინააღმდეგ პოლიციამ საჩივარი შეიტანა მოთხოვნის შესრულებლობისთვის. ამ გაუგებარი საქმის ასახსნელათ პოლიციამ მისწერა თფილისის ქალაქის თავს, რომელმაც ამ წლის, 24 თებერვალს, № 915 გვაცნობა შემდეგი: რჩევას (ღუმას) არ გადუწყვეტია სახლების წინ ქუჩების წმილათ შენახვისთვის გადახდევინებინათ მეპატრონებისთვის შესახვედრი ფული და არც ახდევინებს საზოგადოთ ქუჩების წმედის და გაკეთების ხარჯათ არავითარ ფულს. ამ ქალაქის თავის მოწერილობის თანახმად და საფუძველსა ზედა მუხლებთა 844, 846, 846 და 848 მე-XIII ტომისა უ. პოლიციის მედეკ. უსტ. ხალხის სიმართელის დაცვისა, განმეორებით მოვიწვევ უფალთ სახლების-მეპატრონეთა დაუყოვნებლივ გასწმიდონ ეზოები, ქუჩები და ტროტუარები თუ იქ იქნება ნაგავი ან სხვარამე უწმინდურება და გასწორონ ქუჩები. ამ მოთხოვნის შესრულებლობისათვის ბრალდებულნი იქნებიან მიცემულნი სამართალში.

თფილისის უმფროსი პოლიციმეისტერი პოლკოვნიკი მერკლინგ.

(3-2)

თფილისში უფ. ბ. ჩარკვიანის წიგნის მალაზიაში და ბუტიანობაში მოტე მესხის წიგნისე მალაზიაში ისპიღება:

ალეანასი

შედგენილი

ბ. თუშანიშვილისაგან

წიგნი მეორე

ბამოცემული ბ. ჩარკვიანისაგან

ფასი—ორი აბაზი

ლექსები

„სიყვარული“

შედგენილი ანთ. ჯუღელისაგან გამოვიდა და იყიდება თფილისში ჩარკვიანის, მართანოვის, ბრიქუროვის და სხვა წიგნის მალაზიებში და „ივერიის“ რედაქციაში. სამეგრელოში დ. სუჯუნას, ბ. თოფურიძის ლუქანში და აბაზის სტანციაზე პ. მელიქოვის ლუქანში, ზესტაფონს ჩუბინიძის და მოსტაფას ლუქანში.

ფასი ორი უაური. ოცს ეგზემპლიარს ვინც იყიდის ერთად, მას თითო ეგზემპლიარი დაეთმობა რეა კოპ. მეტს ვინც იყიდის იმას შვიდ კოპეკათ.

უფ. გიგო ჩარკვიანის წიგნის მალაზიაში

ისპიღება ყოველნაირი ახალი მართული წიგნები.

მალაზია იყოფება ბალის ზემოდამ, ქაშვეთის ეკკლესიის ქვევით ლუქანში. ბარემე პირებს შეუძლიანთ ამ აღრესით დაიბარონ წიგნები: Въ тифлисѣ. Въ книжный магазинъ г. Чарквіани.

„პაერ ოსტატი“

ბამეღია ოთხ-მოქმედებად, თხზულება მ. ჯორჯაძისა

რპ. მზა.	ლილა.	სალაბ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მანკაბ.	გაზანდა	მანკაბ.	თფილისის სამაჟრანალო.
თფილისი..	9 21	5 18	მ.კაბ.	მ.კაბ.	ოცი ხიტყვა თფილისილამ:		თფილისი, 15 მარტს.		პრევენს მადანზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში.
მცხეთა..	10 11	6 27	85	44	ბაკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	50	შვე. თეთ. ბანჯისა, ფთ.	160	ავთმყოფებს მიიღბენ ყოველს
ბორი..	11 58	9 43	3	1 53	როსტოვა, ოდესახს, მოსკოვს	2	შველი წითელი . . .	140	ლდე დილის 9 საათლამ 1-მდინ.
ხაშური..	1 29	11 57	4 73	2 42	პეტერბულს, მარზავას	2	შერი ფუთი	110	ო. რ. შ. ბ. ა. თ. მ. ვერმიშვეი და ბა-
სურამი..	1 44		4 90	2 61	ოსმალეთში, შვეიცარიაში.	3	ბაზა მრევისა, ფუთი . .	740	რ. ლევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩა-
შვირილა..	5 49		7 21	3 69	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	ბაპენტოლი ბ. შ. ბ. ფუთი.	970	როანც—ქალის ექმი და საშვი-
რიონი..	6 57		8 44	4 31	ინგლისში	3 75	მატყელი თუშური ფუთი.	650	ლოსნოს ოპერაციები.
სამტრედია..	7 51		9 66	4 93	ფოტა		—თარაქამისა ფუთი . .	380	სამშაბათს: მერმიშვეი—ში-
ახალ-სენაკი	8 43		10 71	5 47	ა) თფილისილამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ		ბბრეშუმი ნუხური სტ.	210	ნაგ. ა. ბახუტოვი—საბეზო და ბავ-
ფოთი . . .	9 50		12 24	6 26	ლდე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ო. შუბრ.—პარასკ. და ორშ. ბახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაი-		ქონი, ფუთი	530	შვის. პუნოვი—თვალის.
ფოთი . . .	9 3				სილამ: თფილისისა და შოთისაკენ—		ქონის სანთელი ფუთი .	755	ო. თ. შ. ბ. ა. თ. მ. ვერმიშვეი ში-
ახალ-სენაკი	10 14		1 53	78	ყოველ ღდე კვირას გარდა. ო. შუბრ-		სტეარინის სანთელი, ფთ.	1255	ნაგანი ავთმყოფობის.
სამტრედლი	11 5		2 61	1 33	გეთს—ორშ. და პარასკ.		ხორცი ძროხისა, ლიტ.	18	ხუთშაბათს: მერმიშვეი—ში-
რიონი..	12 13		3 84	1 97	წიგნის გაგზავნა რუსეთში		—ცხვრისა, ლიტრა . . .	18	ნაგ., ქიუჩარიანცი—სიტილიტიკუ-
შვირილა..	1 18	ლაშე.	5 3	2 56	და სამზღვარ გარეთ:		სპირტი ვედრო	460	რი და საშარდე ორგანების.
სურამი..	5 12	1 10	7 34	3 74	ლა წიგნის		შაქარი, ბროც. ფუთი .	745	პარასკევს: მერმიშვეი—შინაგ.,
ხაშური..	5 39	1 37	7 51	3 84	დაბ. კლილის (სამი მისხალი) .		ფხვნილი ფუთი . . .	560	ა. ბახუტოვი—საბეზო, ქალისა და
ბორი..	7 5	4 8	9 24	4 73			შავა გრგვლი, გირვ . .	65	ბავშვების.
მცხეთა..	8 50	6 59	11 39	5 82			ხეთი ქუნჯუთისა ფუთი	1170	შაბათს: მერმიშვეი შინაგ., და
თფილისი..	9 31	7 56	12 24	6 26			თამაქა, ხაშულო ფთ.	680	პუნოვი—თვალისა.